პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 187 (5217) 21 სექტემბერი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოთხი უძლიერესი რკინიგზელი

ამიერკავკასიის რკინიგზის საპროექტო ინსტიტუტის ტექნიკოსმა ქეთევან ნუცუბიძემ ცისფერ ბილიკებზე მეტოქეებთან პაექრობა დაამთავრა თუ არა, წარმატება პირველმა მიულოცა მძლეოსნობაში სპორტის ოსტატმა, თანაგუნდელმა ლ. გუგუშაძვილმა. ქეთევანის მიერ ცურვაში მოპოვებულმა ქულებმა გუნდსაც I ადგილი არგუნა.

ასეთი იყო ამ დღეებში ამიერკავკასიის სპორტსმენთა მონაწილეობით თბილისში მშდ კომპლექსის მრავალჭიდში გამართული საინტერესო ღონისძიების ერთი ეპიზოდი. ამ შეჯიბრებამ შეაჯამა ამიერკავკასიის რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა შორის მშდ კომპლექსის დანერგვის შედეგები.

საგზაო პირველობამდე ასპარეზობა ფიზკულტურულ კოლექტივსა და რაიონულ საბჭოებში მოეწყო. ახლა სწორედ იქ გამარჯვებული ნიშნოსნები იბრძოდნენ „ლოკომოტივის" ცენტრალური საბჭოს პირველობის საგზაურის მისაღებად.

თბილისის, სამტრედიისა და ერევნის რაიონულმა საბჭოებმა დებულების თანახმად სარბიელზე თითო ქალი, ქალიშვილი, ვაჟი და ჭაბუკი გამოიყვანეს, მაგრამ ასპარეზობა უფრო დაძაბული და საინტერესო რომ გამომდგარიყო, შეჯიბრების ორგანიზატორებმა პირად პირველობაში კიდევ ოციოდე სპორტსმენი დაუშვეს (პროგრამაში იყო 100 მეტრზე რბენა, სიგრძეზე ხტომა, ბირთვის კვრა, ტყვიის სროლა და ცურვა).

ქალთა მრავალჭიდში ნუცუბიძემ გაიმარჯვა. მან 207 ქულა მოაგროვა, 64 ქულით გაუსწრო თანაგუნდელსა და თანამშრომელს ლ. ცხომელიძეს. მესამე იყო ერევნელი ნ. ტურცევა — 84 ქულა.

ქალიშვილებში შესანიშნავ შედეგს მიაღწია თბილისელმა მ. მატაშენკომ — 262 ქულა. II და III ადგილები შესაბამისად თბილისელ ი. რატიას (151 ქულა) და ერევნელ მ. ენინას (79) ხვდათ.

ვაჟთა შორის თბილისელმა მწვრთნელმა ლ. გუგუშაშვილმა გაიმარჯვა — 445 ქულა. II ადგილზეა მ. მოროზოვი (ერევანი) 414 ქულა, III — ს. ღუშმანიშვილი (თბილისი) — 374.

ჭაბუკებში ყველას აჯობა თ. წულაიამ (სამტრედია) — 163 ქულა. თბილისელმა ვ. კაშურნიკოვმა 154 ქულა მოაგროვა, III ადგილზეა ერევნელი მ. ალექსანდრიანი — 142 ქულა.

გუნდური საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: თბილისი — 831 ქულა, ერევანი — 779, სამტრედია — 612.

ასპარეზობაში მონაწილეობა არ მიუღიათ ამიერკავკასიის ტრანსპორტმშენის მრავალათასიანი კოლექტივის წარმომადგენლებს. ამ დიდ ორგანიზაციაში მშდ კომპლექსს ჯეროვნად თუ აფასებენ, რამ დააბრკოლა გუნდის დაკომპლექტება? ვფიქრობთ, ამ საკითხს მსჯელობის საგნად აქცევს „ლოკომოტივის" საგზაო საბჭო.

ამრიგად, ამიერკავკასიის რკინიგზელთა ნაკრები გუნდი (ქ. ნუცუბიძე, მ. მატაშენკო, ლ. გუგუშაშვილი, თ. წულაია) „ლოკომოტივის" ცენტრალური საბჭოს პირველობაში იასპარეზებს.

თ. გაჩეჩილაძე.

* * *

სურათებზე: ვაჟები 100 მეტრზე რბენის დისტანციაზე; ცეცხლის ხაზზეა ქ. ნუცუბიძე.

ჯ. ხუბუას ფოტოები.

## ახალი ამბები-74

● ჩიმკენტი, 18 სექტემბერი. რუსულ შაშში ქალთა აქ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატის 9 ტურის შემდეგ დაწინაურდა ახალგაზრდა მინსკელი ექიმი ლ. ილინა — 7 ქულა და 1 გამოტოვებული პარტია. ასეთივე შედეგი, ოღონდ 10 შეხვედრის შემდეგ, აქვს მოსკოველ რ. გაგარინას. ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვეს ქვეყნის ჩემპიონმა, მინსკელმა ე. სორკინამ და გორკელმა ა. ლაზარენკომ.

● ვარშავა, 18 სექტემბერი. რეგბიში გაზეთ „ტრიბუნა ლიუდუს" პრიზის გათამაშებაში ყველას აჯობა მოსკოვის კლუბების ნაკრებმა. ამ ტრადიციულ შეჯიბრებას „ოთხი დედაქალაქის ტურნირი" ჰქვია. მოსკოველთა გარდა სარბიელზე გამოვიდნენ ბუქარესტის, პრაღისა და ვარშავის ნაკრები კოლექტივები. მოსკოველთა გუნდი „ავტომობილისტისა" და „ლოკომოტივის" წევრებით იყო დაკომპლექტებული. მან ჯერ რუმინეთის წარმომადგენლებს აჯობა (17:3), მერე კი პოლონეთის დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე გამართულ ფინალურ მატჩში ანგარიშით 21:10 სძლია მასპინძლებს. ტურნირის ყველაზე შედეგიანი მოთამაშეა მოსკოველი ი. კოჩეტკოვი — 16 ქულა.

● სოდერტელიე, 18 სექტემბერი. შვეციის ჰოკეისტთა ნაკრებმა აქ გაზეთ „იზვესტიის" პრიზის გათამაშების მატჩში უმასპინძლა ფინეთის ეროვნულ გუნდს. მწვავე ბრძოლაში გაიმარჯვეს შვედებმა — 2:1 (2:1, 0:0, 0:0), ანგარიში ფინელმა რაუტაკალიომ გახსნა, მერე კი ლინდსტრომმა ხაპასუხო შაიბა გაიტანა. გამარჯვება მასპინძლებს ლუნდსტრომმა მოუტანა.

● ორჯონიკიძე, 19 სექტემბერი. ფეტხუზის მთაზე მასობრივი ასვლის მონაწილეებმა მემორიული ფილა დადგეს ასეთი წარწერით: „აქ გაიმართა ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის 50 და რუსეთთან ჩრდილოეთ ოსეთის ნებაყოფლობით შეერთების 200 წლისთავისადმი მიძღვნილი ქალაქ ორჯონიკიძის 3500 კომკავშირელის მიტინგი".

● ტომსკი, 19 სექტემბერი. მხატვრულ ტანვარჯიშში სსრ კავშირის თასის გათამაშებას საკავშირო ჩემპიონატი მოჰყვა საგნებით ჯგუფურ ვარჯიშებში. ჩემპიონის ოქროს მედლები „სპარტაკის" წარმომადგენლებმა მოიპოვეს. ვერცხლის ჯილდო „ბურევესტნიკის" ტანმოვარჯიშეებს ხვდათ, ბრინჯაოსი — „ტრუდის" სპორტსმენებს.

ჰოკეი — ჰოკეი — ჰოკეი

## მასპინძელთა გამარჯვება

ტორონტო, 19 სექტემბერი. მსოფლიო ჰოკეის ასოციაციის პროფესიული ლიგის ნაკრებმა („კანადა-74") სსრ კავშირის ეროვნულ გუნდთან დღეს აქ გამართულ მეორე მატჩში გამარჯვება მოიპოვა — 4:1 (2:0, 1:1, 1:0).

შაიბები გაიტანეს: კანადელებმა ბექსტრემმა, ლიაკრუამ, ჰალმა, ტრამბლემ და საბჭოთა ჰოკეისტმა იაკუშევმა.

## „წითელმუზარადიანი სუპერმენები"

ნიუ იორკი, 19 სექტემბერი. ამერიკის პრესა საინტერესო კომენტარს უძღვნის საბჭოთა ჰოკეისტებისა და კანადის პროფესიული გუნდის თამაშს. „ნიუ იორკ ტაიმსი" აღნიშნავს სსრ კავშირის ნაკრების კარგ შეთამაშებულობას და საბჭოთა სპორტსმენებს „წითელმუზარადიან სუპერმენებს" უწოდებს. გაზეთში მოყვანილია კანადის გუნდის მოთამაშის მაკენზის სიტყვები: „არასოდეს მინახავს, რომ 20 ჰოკეისტი ასე შეთამაშებულად მოქმედებდეს". მეორე კანადელმა ჰოკეისტმა ჰოუმ თქვა: „საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში 18 ბობი ჰალია (ჰალი, რომელმაც ტრეტიაკის კარში 2 შაიბა გაიტანა, კანადის გუნდის ვარსკვლავად ითვლება).

საბჭოთა ჰოკეისტთაგან „ნიუ იორკ ტაიმსი" გამოყოფს ვ. ტრეტიაკსა და ვ. ხარლამოვს. ტრეტიაკი დახასიათებულია, როგორც ჰოკეის „შესანიშნავი, უბადლო" ოსტატი, რომელმაც ბევრჯერ „გმირულად დაიცვა კარი". როცა კანადელთა თავდამსხმელმა ს. ბერნიემ ორთაბრძოლაში საბჭოთა მეკარის მოტყუება ვერ შეძლო, „გაწბილებულმა თავისი ჰოკეჯოხი მოაჯირს შეამტვრია", აღნიშნავს გაზეთი.

„ნიუ იორკ ტაიმსმა" რამდენიმე აბზაცი დაუთმო იმის აღწერას, თუ როგორ გაიტანა ხარლამოვმა მეორე შაიბა კანადელთა კარში და აღნიშნა, რომ მან თავისი ოსტატობით „უბრალოდ განცვიფრებაში მოიყვანა 11 ათასი მაყურებელი", რომლებიც ამ „არაჩვეულებრივი გოლის" მოწმენი გახდნენ.

ამასთან ერთად, გაზეთმა რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა გამოთქვა საბჭოთა გუნდის მისამართით. აღნიშნულია, რომ კანადის გუნდმა უფრო მეტჯერ ტყორცნა საბჭოთა ჰოკეისტების კარში (34:28). გაზეთს მიაჩნია, რომ თამაშის მიწურულს კანადელები საბჭოთა მოთამაშეებზე რამდენადმე ცოცხლად გამოიყურებოდნენ და „თავიანთ მეტოქეებზე უკეთ თამაშობდნენ". ამ გარემოებას გაზეთი ხსნის იმით, რომ კანადის გუნდი 4 ხუთეულით თამაშობდა, მაშინ, როცა საბჭოთა ჰოკეისტები — მხოლოდ სამით. აღნიშნულია, რომ კანადელებს უპირატესობა ჰქონდათ ძალისმიერ თამაშში.

გაზეთი მხარს უჭერს საბჭოთა და კანადის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდების დონეზე შეხვედრების გაგრძელების ტრადიციას და წერს: „თამაში ფრედ დამთავრდა, მაგრამ შეიძლება ითქვას, ამ მატჩში წაგებული მხარეც იყო. ეს გახლდათ კანადის ეროვნული ჰოკეის ლიგა", რომელიც „ნიუ იორკ ტაიმსის" სიტყვებით, „იმდენად გაწბილებული იყო" 1972 წლის მატჩების სერიის შედეგებით, რომ „აღარ მოინდომა განმეორებითს სერიაში მონაწილეობა".

ნ. სეტუნსკი.
(საკდესის კორ.).

## ტორონტოს „მოჯადოებულ" ყინულზე...

ტორონტო, 20 სექტემბერი. „კანადა-74"-ისა და სსრ კავშირის ნაკრების ჰოკეისტთა გუშინდელი მატჩი „მეიპლ ლიფს გარდენში" ისევე, როგორც ორი წლის წინათ, პირველი „სერიის" მსვლელობისას, „ნეკერჩხლის ფოთლების" გამარჯვებით დამთავრდა იმავე ანგარიშით — 4:1.

კანადელ ჰოკეისტებს სამ მილიონიანი ტორონტო, რომელიც ონტარიოს ტბის ნაპირებზეა გადაშლილი, იღბლიან ქალაქად მიაჩნიათ. ტორონტომ არც ამჯერად „უმუხთლა" მათ. კანადელი მეკარის ჩივერსის კარი თითქოს მოჯადოებული იყო: შაიბას არაფრის დიდებით „არ უნდოდა" შიგ შესვლა. თუმცა, მესამე პერიოდის დასაწყისში, როცა ანგარიში 3:1 იყო, პეტროვმა მინიმუმამდე დაიყვანა სხვაობა, მაგრამ კანადელმა არბიტრმა ბრაუნმა გოლი არ ჩათვალა. კანადის ტელევიზიის რეჟისორმა რამდენიმეჯერ აჩვენა მაყურებლებს ეს მომენტი. როცა საბჭოთა კომენტატორმა ნ. ოზეროვმა მადლობა გადაუხადა მას ობიექტურობისთვის, რეჟისორმა უპასუხა: „მოსკოვში სიმართლე უნდა იცოდნენ".

მატჩის შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე საბჭოთა ნაკრების მწვრთნელს ბ. კულაგინს ჰკითხეს:

— რა შეგიძლიათ თქვათ სადავო გოლზე?

— გოლი უდავო იყო, — უპასუხა მან. — იმ ფაქტმა, რომ იგი არ ჩათვალეს, შეხვედრის შემდგომ მსვლელობაზე იმოქმედა. მაგრამ კანადელებმა იმიტომ გაიმარჯვეს, რომ უკეთ ითამაშეს. დღეს ისინი შესანიშნავად, თითქმის უშეცდომოდ მოქმედებდნენ. მიუხედავად ამისა, ჩვენ ოპტიმიზმით შევყურებთ მომავალს. ვიმედოვნებთ, რომ კანადის ყინულზე დარჩენილ ორ შეხვედრაში საბჭოთა ჰოკეისტები უკეთ ითამაშებენ, ხოლო არბიტრი ბრაუნი მოედანზე აღარ გამოჩნდება. ვინიპეგში, 21 სექტემბრის მატჩში, ჩვენ ცოტათი შევცვლით შემადგენლობას.

ცვლილებები ტორონტოს შეხვედრაშიც იყო. ვიწყებდით ისევე, როგორც კვებეკში: ტრეტიაკი, ვასილიევი — გუსევი, მიხაილოვი — პეტროვი — ხარლამოვი, ლიაპკინი — ციგანკოვი, მალცევი — შადრინი — იაკუშევი, ლუტჩენკო — კუზნეცოვი, ლებედევი — ანისინი — ბოდუნოვი. მაგრამ შემდეგ ლებედევი თამაშობდა შადრინის რგოლში, მალცევი რიგრიგობით მოქმედებდა კაპუსტინთან და კოტოვთან, ანისინთან და ბოდუნოვთან. ფიოდოროვმა შეცვალა გუსევი, რომელიც სუსტად გამოდიოდა.

თავის შესაძლებლობაზე უარესად ტორონტოში, როგორც ჩანს, არა მარტო ამ მცველმა ითამაშა, არამედ ჩვენი გუნდის სხვა ბევრმა ჰოკეისტმაც. ქების ღირსია ტრეტიაკი. რამდენჯერ გადაარჩინა მან კარი აშკარა გოლს და უოლტონსაც კი „ბულიტის" რეალიზების საშუალება არ მისცა, როცა ანგარიში 3:0 იყო.

მატჩის საუკეთესო მოთამაშეებად ტრეტიაკი და ჩივერსი აღიარეს. ეს იმაზე ლაპარაკობს, რომ „ნეკერჩხლის ფოთლებსაც" გაუჭირდათ თამაში.

შეჯიბრების ბედი პრაქტიკულად გადაწყდა იმ წუთებში, როცა მეტოქეები არასრული შემადგენლობებით გამოდიოდნენ. კანადელებმა სამიდან ორ შემთხვევაში გამოიყენეს რიცხობრივი უპირატესობა, მსოფლიო ჩემპიონები კი რატომღაც გაუბედავად მოქმედებდნენ და ვერც ერთი შაიბა ვერ გაიტანეს. ასეთი შესაძლებლობა კი მათ ექვსჯერ ჰქონდათ, მათ შორის მესამე პერიოდშიც...

„მცირე ჯარიმა" დიდი სასჯელია: კანადელებმა ეს პრაქტიკულად დაამტკიცეს, ჩვენმა ჰოკეისტებმა კი შანსები ვერ გამოიყენეს.

პირველ ასპარეზობასთან შედარებით შემადგენლობაში ცვლილებები მასპინძლებთან მინიმალური იყო: გამოვიდა მარკ ჰოუ, რომელმაც ტარდიფი შეცვალა. ტაქტიკურადაც „ნეკერჩხლის ფოთლები" ძველებურად თამაშობდნენ. ბ. ჰარისის დარიგებანი — შეძლებისდაგვარად ნაკლებად უხეშად ეთამაშათ და მეტი გადაცემა გაეკეთებინათ, პრაქტიკულად შესრულდა. განსაკუთრებით ლამაზი იყო პირველი გოლი, რომელიც კანადელებმა მე-5 წუთზე გაიტანეს. გორდი ჰოუმ ჩინებული გადაცემა მისცა თავის შვილს მარკს, რომელმაც ერთი შეხებით





(დასასრული მე-3 გვ.).

ROMA '74

# [illegible] რომში ვიყავით

საბჭოთა სპორტული ჟურნალისტების 22-კაციანი ჯგუფი მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, რიგიდან, ტალინიდან და სხვა ქალაქებიდან ჩამოსული „სპორტის დედოფლის" თაყვანისმცემლებით დაკომპლექტდა. მძლეოსნობის რეფერენტთა შორის ორი ადგილი თბილისელებს — ამ სტრიქონების ავტორსა და საქართველოს ტელევიზიის სპორტულ გადაცემათა უფრ.ოს რედაქტორს დავით ქლიბაძეს ეკუთვნოდა.

მძლეოსნობაში ევროპის XI ჩემპიონატი ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იმიტომაც იყო, რომ რომის „სტადიო ოლიმპიკოსთან" სასიამოვნო მოგონება გვაკავშირებდა: XVII ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე სსრ კავშირის მძლეოსანთა ნაკრებ გუნდში საქართველოდან როგორც ახლა ერთი სპორტსმენი კი არა, რამდენიმე ათლეტი გამოდიოდა. თბილისელმა რ. შავლაყაძემ, რომელიც მანამდე მართალია საქვეყნოდ ცნობილი სიმაღლეზე მხტომელი გახლდათ, მაგრამ სსრ კავშირის ჩემპიონი მაინც არ ყოფილა, ნამდვილი სასწაული მოახდინა. საბჭოთა სპორტსმენთაგან მან პირველმა შეძლო ოლიმპიურ თამაშებში სიმაღლეზე ხტომაში ამერიკელთა დამარცხება. ეს გამარჯვება იმითაც იყო ღირსსახსოვარი, რომ მაშინ შავლაყაძემ, რომელსაც ოქროს მედლის პრეტენდენტად არ მიიჩნევდნენ, აღიარებული ფავორიტები — „კანზასელი კალია" ჯ. თომასი და მსოფლიო რეკორდსმენი ჯ. ბრუმელი დაამარცხა.

მეორე თბილისელმა ა. მჩერბინამ სწორედ აქ, რომის ქუჩებში, პაპანაქება სიცხის მიუხედავად, 50-კილომეტრიან ძნელ გზაზე სპორტული სიარულის უბადლო ტექნიკა გამოავლინა და IV ადგილს მხოლოდ იმიტომ დასჯერდა, რომ ამ დონეზე ბრძოლის თითქმის არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა.

სწორედ მაშინ, 14 წლის წინათ, რომში ძალებს ცდიდნენ რ. ქვაჩაკიძე და ი. დიაჩკოვი. მართალია, ყველამ ვერ გაგვახარა, მაგრამ წარსულის გახსენება სიამოვნებას თუნდაც იმიტომ იწვევს, რომ მაშინ საქართველოში მძლეოსნობა უფრო მაღალ საფეხურზე იდგა. 14 წლის შემდეგ კი რომს სასპარეზოდ ჩვენგან მარტო ერთი ათლეტი — თბილისელი ვ. სანეევი ეწვია. საკავშირო ნაკრების მეორე კანდიდატი, საბჭოთა ქვეყნის ექსჩემპიონი და ევროპის ჩემპიონი, თბილისელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, თარჯმორბენალი ა. მოშიაშვილი წლევანდელ ბოლო ტურნირებში უხეირო მაჩვენებლების გამო რომის საგზურის გარეშე დარჩა. ევროპის ჩემპიონატზე მისმა არყოფნამ გული დაგვწყვიტა. არა და, ახლაც გვჯერა, რომ იგი რომში ვ. მიასნიკოვსაც აჯობებდა და ე. პერევერზევსაც, რომლებმაც 110 მეტრზე თარჯმრბენის ნახევარფინალებში შესაბამისად 14,19 და 14,21 აჩვენეს და ფინალურ გარბენში მონაწილეობის უფლება ვერ მოიპოვეს.

რომის სტარტები კიდევ იმიტომაც გვიზიდავდა, რომ მიუნხენის ოლიმპიურმა თამაშებმა მძლეოსნობაში ევროპელთა აშკარა უპირატესობა დაადასტურეს, წლით ადრე კი ჰელსინკის ოლიმპიურ სტადიონზე გამართულ კონტინენტის X ჩემპიონატში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენთა საუკეთესო გაწვრთნილობის მოწმე ვიყავით... საინტერესო იყო, რა ძვრები მოხდა მას შემდეგ ქვეყნების ძალთა შეფარდებაში.

ეს საკითხი აშშ-ს მძლეოსნობის მოყვარულთა კავშირს, ამ ქვეყნის სპორტულ საზოგადოებრიობასაც აწუხებდათ. ამიტომაც იყო, რომ იტალიის დედაქალაქს ამერიკელ სპეციალისტთა და სპორტულ ჟურნალისტთა საკმაოდ დიდი ჯგუფი ეწვია.

...დიდ სტარტებამდე ერთი დღე გვაშორებს. ეს დღე ავტობუსის ფანჯრებიდან მარადიული ქალაქის გასაცნობად უნდა გამოვიყენოთ. იააფ-ის კონგრესის შედეგებიც გვაინტერესებს. კონტინენტის ჩემპიონატის დაწყებამდე აქ სამ დღეს გაგრძელდა ჯერ იააფ-ის საბჭოს სხდომა, შემდეგ კი მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი, რომლებიც მეტად საინტერესო საკითხებს იხილავდნენ, მათ შორის მოსკოვში 1980 წლის ოლიმპიადის ჩატარებისთვის მხარდაჭერის საკითხსაც.

კონგრესი რთულ ვითარებაში ჩატარებულა. მის დადგენილებებში ნათლად გამოვლინდა ოლიმპიური იდეებისადმი ერთგულება. იააფ-ის ზოგიერთი წევრი შეეცადა კვლავ დაეყენებინა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისთვის კარის გახსნის საკითხი, მაგრამ ჯანსაღმა აზრმა ამჯერადაც იმარჯვა და რასისტებს გზა საერთაშორისო სპორტში კიდევ უფრო მაგრად გადაუკეტა.

იააფ-ის კონგრესმა რუსული ენა კონგრესის ერთ-ერთ ოფიციალურ ენად აღიარა და უკვე ამ სხდომებზე სსრ კავშირის წარმომადგენელთა გამოსვლები სხვა ენებზე ითარგმნებოდა.

მაგრამ საბჭოთა ჟურნალისტებისთვის, სპორტსმენებისთვის, სხვა სპეციალისტებისთვის მთავარი მაინც 1980 წლის ოლიმპიადის ცენტრად მოსკოვის აღიარების საკითხი იყო. ეს კონგრესსაც ერთობ აინტერესებდა, რომ თავისი საქმიანობის დღის წესრიგის ერთ-ერთ პირველ საკითხად დააყენა.

კონგრესმა ყურადღებით მოისმინა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ტექნიკური დელეგატების — ევროპის მძლეოსნობის ასოციაციის პრეზიდენტის ა. პაულენისა და მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის მდივნის ფ.-ვ. ჰოლდერის ინფორმაცია. როგორც ცნობილია, ისინი მოსკოვს სპეციალურად ეწვივნენ სსრ კავშირის დედაქალაქში 1980 წლის ოლიმპიადის პერიოდში მძლეოსნობაში შეჯიბრებათა ჩატარების შესაძლებლობების გასაცნობად.

პაულენმა და ჰოლდერმა ხოტბა შეასხეს სსრ კავშირის მძლეოსნობის ფედერაციის საქმიანობას, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მოსკოვს ოლიმპიური თამაშების პროგრამით მძლეოსნური შეჯიბრებების მაღალ დონეზე ჩატარების ყველა შესაძლებლობა აქვს.

ევროპის მძლეოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა და საერთაშორისო ფედერაციის წევრმა, სსრ კავშირის მძლეოსნობის ფედერაციის თავმჯდომარემ ლ. ხომენკოვმა კონგრესის მონაწილეებს დაწვრილებით გააცნო, რა სამუშაოები ჩატარდება მოსკოვში, თუ იგი ოლიმპიადის ჩატარების უფლებას მიიღებს, როგორ მოეწყობა მძლეოსნური სარბიელი, როგორი პირობები ექნებათ მონაწილეებს, მსაჯებს, ჟურნალისტებს...

ყოველივე ამის შემდეგ იააფ-ის კონგრესმა გადაწყვიტა მხარი დაუჭიროს 1980 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლად მოსკოვის კანდიდატურას.

მძლეოსნობაში ევროპის XI ჩემპიონატის სტარტის წინ ასეთმა სასიამოვნო ამბავმა საბჭოთა ნაკრებს ახალი ძალა შემატა.

ჩემპიონატის საზეიმო გახსნა შემოდგომის პირველ დღეს, საღამოსთვის იყო დანიშნული. დილით პრეს-ცენტრს ვეწვიეთ, პრეს-კონფერენციას დავესწარით და ქალაქში დავბრუნდით. პრეს-კონფერენციაზე გვაცნობეს, რომ რომში სასპარეზოდ 29 ქვეყნის 800-მდე სპორტსმენი შეგროვდა. სრული გუნდი ყველამ როდი ჩამოიყვანა, მაგრამ თითო მონაწილეც ესახელებოდათ, ვინაიდან ეს საზეიმო ცერემონიალზე სახელმწიფო დროშის გატარების გარანტიას იძლეოდა.

ყველაზე მრავალრიცხოვანი დელეგაცია სსრ კავშირს ჰყავდა: 31 ქალი და 60 ვაჟი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოვიდა 32 ქალი და 46 ვაჟი, დიდი ბრიტანეთიდან — 25 ქალი და 49 ვაჟი, დასავლეთ გერმანიიდან — 24 და 46, პოლონეთიდან — 22 და 38. მასპინძლებს საბრძოლოდ 13 ქალი და 45 ვაჟი მოემზადებინათ...

იტალიელებს ძალ-ღონე არ დაუზოგავთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყნიდან ჩასული სპორტსმენების, ჟურნალისტებისა და ტურისტების მასპინძლობისთვის. თუმცა უნაკლო არც ამ ჩემპიონატის ორგანიზაცია გახლდათ. სამმილიონიან ქალაქში თითქმის არ იგრძნობოდა, რომ რომი ასეთი დიდი სპორტული დღესასწაულის მომწყობი იყო — მძლეოსნობაში კონტინენტის XI ჩემპიონატისადმი მიძღვნილ აფიშებსა და რეკლამებს აქა-იქ თუ ნახავდით. სამაგიეროდ, ზედმიწევნით გულმოდგინედ მუშაობდნენ იტალიის პრესა და ტელევიზია, — მათ ფურცლებზე და ეკრანზე თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მომენტი ისახებოდა. იბეჭდებოდა ნარკვევები და რეპორტაჟები საუკეთესო სპორტსმენებზე, ჩემპიონატის ფავორიტებზე, რომელთა შორის ყველაზე მეტი ადგილი ისევ იტალიის მძლეოსნობის ლიდერებს — 22 წლის ბარლეტელ სპრინტერს პიეტრო მენეას, 3000 მეტრზე მორბენალ როკასეკელ ფრანკო ფავას, სპორტული სიარულის ოსტატს ვიტორიო ვიზინის, სიმაღლეზე მხტომელებს სარა სიმეონის და რუდოლფო ბერგამოს, თარჯმორბენალ ჯუზეპე ბუტარის, 400 მეტრზე მორბენალ მარჩელო ფიასკონაროსა და სხვებს ეთმობოდა.

**ო. გელაშვილი.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

რომი — თბილისი.

(გაგრძელება იქნება)

• • •

სურათებზე: ოლიმპიური სტადიონის ტაბლო ჩემპიონატის გახსნის მომენტში; პირველობის გახსნაზე აი, ასეთი ტრანსპარანტები ჩაატარეს, რომლებიც კონტინენტის ყველა ჩემპიონატის გამართვის თარიღსა და ადგილს გვაცნობდა.

ავტორის ფოტოები.






## საგაისოდ ადგილები დაიგვეს

ამ დღეებში ყვარელში მოეწყო ძიუდოისტთა რესპუბლიკური პირველობის ზონალური შეჯიბრება, რომელშიც აღმოსავლეთ საქართველოს 9 რაიონის ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ.

გაიმარჯვა ყვარლის ნაკრებმა (მწვრთნელი რ. ლომსაძე). ეს გუნდი გაისად საქართველოს VI სპარტაკიადის ფინალში იასპარეზებს. II ადგილი გარდაბნელებს ერგოთ, III — წითელი წყაროს რაიონის კოლექტივს.

სპარტაკიადის დებულების თანახმად, ფინალში მონაწილეობის უფლება ენიჭებათ ზონებში გამარჯვებულ გუნდებსა და პირად ტურნირებში I ადგილებზე გასულ სპორტსმენებს. ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოს ზონიდან გაისად მთავარ ასპარეზობაში გამოვლენ: ვ. ლარიბაშვილი (დუშეთი), გ. ნავაძე (ლაგოდეხი), ზ. შუკოვანი (ყვარელი), ე. დამადაევი (თელავი), ვ. გუმაშვილი (წითელი წყარო).

აღსანიშნავია, რომ გუმაშვილმა თავი გამოიჩინა აბსოლუტურ წონითს კატეგორიაშიც — აქაც I ადგილი დაიკავა. კარგი შთაბეჭდილება დატოვა ზ. შუკოვანმაც. მან დაამარცხა ისეთი ძლიერი მეტოქეები, როგორიც არიან სსრ კავშირის ჩემპიონი გ. დელიბაშვილი და ამავე ჩემპიონატის პრიზიორი დ. ბოდაველი.

ქებით უნდა მოვიხსენიოთ ყვარლის რაიონის ნაკრების მწვრთნელის რამინ ლომსაძის მუშაობა. მან მოკლე ხანში შეარჩია ნიჭიერი ათლეტები, გულდაგულ ავარჯიშა და დამსახურებული გამარჯვებაც მოიპოვა.

**ა. მარტყოფლიშვილი,**
**საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

ყვარელი.

## რევანში

რიგაში სამ დღეს გრძელდებოდა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა თასის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის. თავდაცვის სამინისტროს სპორტული კომიტეტის თასისთვის ალმა-ათის ტურნირში საუკეთესო ადგილებზე გასული 10 კოლექტივი იბრძოდა, მათ შორის — მოსკოვის, ოდესის, კიევის, ამიერკავკასიისა და სხვა სამხედრო ოლქების გუნდები.

თბილისის არმიის სპორტული კლუბის კოლექტივი, რომელიც ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ღირსებას იცავს, მუდამ წარმატებით გამოდიოდა ამ შეჯიბრებაში. შარშან საპატიო თასი მან ჩრდილოეთ კავკასიის გუნდთან უშედეგო ბრძოლაში დათმო, წლეულს კი რევანში აიღო და პრიზი დაისაკუთრა. გამარჯვებული გუნდის მწვრთნელია სპორტის ოსტატი ზ. მჭედლიშვილი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ პირველობისთვის ბრძოლა ამჯერადაც ამ ორ გუნდს შორის გაჩაღდა, მაგრამ თბილისელებმა შარშანდელი შეცდომები გაითვალისწინეს და სასურველ შედეგს მიაღწიეს.

გამარჯვებულ გუნდში უნდა გამოვყოთ გ. ქელეხსაევი, ა. კაპანაძე, რ. გოგრიჭიანი, თ. ხაბაძე და დ. მირაქიშვილი, რომლებმაც ყველა შერკინება მოიგეს.

**გ. ბარჯაძე,**
**სპორტის ოსტატი.**

## [illegible]

**ჩხოროწყუ**

რაიონული ცენტრის სასროლეთზე მოეწყო პირად-გუნდური პირველობა მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში. I ადგილი დაიკავეს მუხურის, II — ზუმის, III — ლესიჭინის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის სპორტსმენებმა. პირად პირველობაში ვაჟთა შორის იმარჯვა ზუმის სასოფლო-სამეურნეო არტელის ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტმა ჯ. ბასილაძემ, ქალთა შორის — მუხურის კოლმეურნეობის წარმომადგენელმა რ. ცირდავამ.

• • •

რაიონის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება კალათბურთში მოიგო დაბა ჩხოროწყუს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის გუნდმა, რომელმაც ფინალში ლესიჭინის სასოფლო საბჭოს გუნდი დაამარცხა.

**ს. ჯალაღონია.**

## სარბიელზე არიან კოლმეურნე სპორტსმენები

„კოლმეურნის" რაისაბჭოს სპარტაკიადის პროგრამაში შეტანილია 9 სახეობა: ფრენბურთი, კალათბურთი, მძლეოსნობა, ქართული და თავისუფალი ჭიდაობა, ტყვიის სროლა, ჭადრაკი, შაში და ძალოსანთა კონკურსი.

მოჭიდავეთა შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს ლენტეხის, რცხმელურის, ლეუშერის, ხაჩეშის, ლესემის, ჯახუნდრის კოლმეურნეობებისა და რაიკოოპერატივის გუნდებმა.

I ადგილი ხვდა ლენტეხის ნაკრებს. II ადგილზეა რცხმელურის გუნდი, III — ხაჩეშის კოლმეურნეობის ნაკრები.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: რ. ლიპარტელიანი (ლენტეხი), მ. ტვილდიანი, ჯ. მუსელიანი (ორივე — რცხმელური), თ. გუგავა (რაიკოოპერატივი), ბ. გუგავა (ლენტეხი), ც. დევდარიანი (სოფლის მეურნეობის სამმართველო), ტ. გაზდელიანი (ლესემა) და რ. ონიანი (ჯახუნდერი).

ყველაზე ტექნიკურ მოჭიდავედ ბ. გუგავა აღიარეს.

ფრენბურთელთა შეჯიბრებაში ვაჟთა 10 და ქალთა 4 გუნდი მონაწილეობდა. ვაჟთა შორის გაიმარჯვა ხაჩეშის კოლმეურნეობის გუნდმა. II ადგილზეა ლენტეხის, III — რცხმელურის სასოფლო-სამეურნეო არტელის გუნდი. ქალთა გუნდების ასპარეზობაში პირველობა რაიკოოპერატივის ფიზკულტურელებმა დაისაკუთრეს. II ადგილზე არიან რცხმელურის, III — ლესემის კოლმეურნეობის წარმომადგენლები.

**ი. იმერლიშვილი,**
**სპორტის ოსტატი.**

ლენტეხი.

## საქართველოს სპორტკომიტეტში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. შარაშიძე დანიშნა საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებისა და თბილისის „ბურევესტნიკის" ოსტატთა გუნდის უფროს მწვრთნელად, გაათავისუფლა რა იგი თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისგან.



# დავამყაროთ წესრიგი სტადიონებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. მიმდინარეობს I ადგილისთვის მწვავე ბრძოლა, სადაც წარმატების მოპოვების თანაბარი შანსები აქვთ რუსთავის „მეტალურგს“, ჭიათურის „მაღაროელსა“ და თბილისის არმიელთა გუნდს. მათ ოდნავ ჩამორჩებიან ზესტაფონის „სალხინო“ და სოხუმის „დინამო“. არანაკლებ დაძაბულია მდგომარეობა აუტსაიდერთა ჯგუფში (ბოლო ორ ადგილზე გასულ კოლექტივებს გაისხთვის II ჯგუფში გადასვლის საშიშროება ემუქრებათ), აგრეთვე, II ჯგუფისა და ზონალური გათამაშების მონაწილეთა შორის.

ასეთ ვითარებაში ყოველ გუნდს, თითოეულ ფეხბურთელს მთელი თავისი შესაძლებლობის გამოვლენა მართებს, რათა დარჩენილ პატარა დროში ყველაფერი იღონოს დასახული მიზნის მისაღწევად. მით უფრო დაუშვებელია, რომ ჩვენს საფეხბურთო მინდვრებზე კვლავ ვხვდებით წესრიგის დარღვევას, უხეშობას, საბჭოთა სპორტსმენისთვის შეუფერებელ საქციელს. ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურ კომისიას სისტემატურად უხდება სანქციების მიღება მათ მიმართ, ვინც არ ერიდება თავისი ქალაქისა და კოლექტივის ღირსების შელახვას და უდიერად არღვევს ელემენტარულ ადამიანურ ნორმებს.

განვიხილოთ რამდენიმე ფაქტი. ოჩამჩირის „ამირანისა“ და ჭიათურის „მაღაროელის“ შეხვედრაში მსაჯის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ჭიათურელმა ფეხბურთელმა ს. ქორიძემ დაცინვით დემონსტრაციულად დაუკრა მას ტაში, რისთვისაც, რასაკვირველია, მინდვრიდან გააძევეს.

წულუკიძის „კოლმეურნის“ მოთამაშე ბ. სანოძემ ჩოხატაურის „ბახმაროსთან“ მატჩში შეაგინა ერთ-ერთ მეტოქეს, ხოლო ამ გუნდის სხვა წევრმა ზ. უგულავამ უცენზურო გამოთქმებით მიმართა მსაჯს. ასევე მოიქცა თბილისის „ლოკომოტივის“ მოთამაშე ვ. ხაჩატურიანი.

ხაშურელმა ფეხბურთელმა ო. მაღლაკელიძემ ხელი გაარტყა ვანის „სულორის“ მოთამაშეს. უწესოდ მოექცა მსაჯს ბოლნისელი დ. გაბიძაშვილი.

ამ ფეხბურთელთა მიმართ სპორტტექნიკურმა კომისიამ მიიღო შესაფერისი ღონისძიებანი, წესრიგის დამრღვევნი საკადრისად იქნენ დასჯილი და გვინდა იმედი გამოვთქვათ, რომ ეს ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი იქნება არა მარტო მათთვის, არამედ მათი თანაგუნდელებისა და, საერთოდ, რესპუბლიკურ გათამაშებათა ყველა მონაწილის, მწვრთნელისა და გუნდების ხელმძღვანელებისთვის.

დუშეთის „არაგვისა“ და აღიგენის „განახლების“ მატჩის შემდეგ სამსაჯო ოთახში ყოვლად შეუწყნარებელი უწესრიგობა სუფევდა, გულშემატკივართა ერთი ნაწილი მოურიდებლად ექცეოდა არბიტრს, შეურაცხყოფას აყენებდა მას. დუშეთის სტადიონი პირობითად დისკვალიფიცირებულია წლის ბოლომდე, იქაური ფიზკულტურისა და სპორტის ხელმძღვანელობა კი გაფრთხილებულია საფეხბურთო მატჩების დროს ბაზაზე დაიცვას საჭირო წესრიგი და შექმნას ნორმალური პირობები მსაჯებისთვის.

შეუწყნარებელი ამბავი მოხდა ვანის სტადიონზე ადგილობრივი „სულორისა“ და ჭიათურის „მაღაროელის“ მატჩის დროს. ერთ-ერთ მომენტში მასპინძლებმა გაიტანეს ბურთი, რომელიც არ ჩათვალა ტყიბულელმა არბიტრმა თ. ერგემლიძემ. მსაჯის საკითხი თუ რამდენად სწორი იყო იგი ამ შემთხვევაში, განსახილველად გადაეცა მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმს, მაგრამ სპორტტექნიკურმა კომისიამ მკაცრად დასაჯა „სულორის“ ფეხბურთელები ვ. ტრაპაიძე და თ. ნებიერიძე, რომლებმაც უშვერი სიტყვებით მიმართეს მსაჯს. გაფრთხილებულია გუნდის მწვრთნელი ა. გრძელიძე, ვინაიდან მან არ მიმართა ზომებს თავგასულ ფეხბურთელთა ასალაგმავად. არც ადგილობრივმა სპორტულმა ხელმძღვანელობამ იზრუნა სტადიონზე წესრიგის დასაცავად. ამიტომ, თუ ვანში ანალოგიური შემთხვევა მოხდა, დაისმება საკითხი სტადიონის დისკვალიფიკაციის შესახებ.

# ევროპის ტურნირების დიდი დღე

გასულ ოთხშაბათს, 18 სექტემბერს, ევროპაში დიდი საფეხბურთო დღე იყო: 126 საკლუბო გუნდმა მიიღო მონაწილეობა კონტინენტის ქვეყნების ჩემპიონთა თასის, თასების მფლობელთა თასისა და უეფა-ს თასის გათამაშებებში. მათ შორის იყვნენ სსრ კავშირის წარმომადგენლებიც.

## „ვიკინგი“ (სტავანგერი) — „არარატი“ (ერევანი) 0:2

ნორვეგიის ქალაქ სტავანგერში შედგა ჩემპიონთა თასის გათამაშების მატჩი ადგილობრივ „ვიკინგსა“ და ერევნის „არარატს“ შორის.

„ვიკინგი“ ამჟამად II ადგილზეა თავისი ქვეყნის ჩემპიონატში, თამაშობს ათლეტურ, ძალისმიერ ფეხბურთს, სხვადასხვა დროს მოპოვებული აქვს მნიშვნელოვანი გამარჯვებები საერთაშორისო შეხვედრებში.

ამ მატჩში, რომელსაც წვიმა დაესწრო, ნორვეგიელებმა ვერაფერი გააწყეს ტექნიკურად მოთამაშე „არარატთან“, რომელმაც საგრძნობი უპირატესობით ჩაატარა შეხვედრა და გაიმარჯვა ანგარიშით 2.0. ორივე ბურთი გაიტანა მარქაროვმა: პირველი — 51-ე, მეორე — 81-ე წუთზე.

## „დინამო“ (კიევი) — ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამე“ (სოფია) 1:0

კიეველთა მეტოქე თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში, ბულგარეთის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი — სოფიის ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამე“ კარგადაა ცნობილი საერთაშორისო სარბიელზე. იგი 17-ჯერ ფლობდა თავისი ქვეყნის ჩემპიონის წოდებას და 9-ჯერ — თასს, სისტემატურად მონაწილეობს დიდ შეჯიბრებებში, მის შემადგენლობაში გამოდის რამდენიმე პირველხარისხოვანი ფეხბურთელი, კერძოდ, ცნობილი თავდამსხმელი, ევროპის საუკეთესო სნაიპერთა უმაღლესი პრიზის „ოქროს ბუცის“ 1969 წლის მფლობელი პ. ჟეკოვი.

დინამოელებთან მატჩში სტუმრებმა დაცვითი ტაქტიკას მიმართეს და მეტოქეს საშუალება არ მისცეს სრულად გამოეყენებინა თავისი უპირატესობა. გოლის გატანის ბევრი შესაძლებლობიდან კიეველებმა მხოლოდ ერთი გამოიყენეს: ბლოხინმა 57-ე წუთზე შეძლო სტუმართა კარის აღება.

## „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ველეჟი“ (მოსტარი) 3:1

უეფა-ს თასის გათამაშების მატჩში სპარტაკელებმა მოსკოვში, ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე მიიღეს იუგოსლავიის ქალაქ მოსტარის „ველეჟი“. ეს გუნდი 1952 წლიდან გამოდის უმაღლეს ლიგაში, ორჯერ იყო ვერცხლის და ამდენივეჯერ — ბრინჯაოს მედლების მფლობელი, გამოირჩევა ტექნიკური, კომბინაციური თამაშით. „ველეჟი“ თამაშობს იუგოსლავიის ნაკრების წევრები, ცნობილი თავდამსხმელი ბაჟევიჩი და მეკარე მარიჩი.

სპარტაკელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1 (2:1). ბურთები გაიტანეს პისკარიოვმა, გლადილინმა, ლოვჩევმა. საპასუხო ბურთი გაიტანა ბაჟევიჩმა.

## „ესტერი“ (ვეკშე) — „დინამო“ (მოსკოვი) 3:2

შვეციის ქალაქ ვეკშეს გუნდი „ესტერი“ შარშან II ადგილზე იყო ეროვნულ ჩემპიონატში. მის შემადგენლობაში გამოდიან ნაკრების წევრები ჰაგბერგი, ანდერსონი, სვენსონი, მათსონი, ეიდერსტედი.

ანგარიში მე-13 წუთზე გახსნა მათსონმა, მერე კი მანვე მეორედ აიღო დინამოელთა კარი. 34-ე წუთზე კოზლოვმა გაქვითა ერთი გოლი, ხოლო ტაიმის დასასრულს პავლენკომ — მეორე.

73-ე წუთზე მოსკოველთა კართან გათამაშებული კუთხურის მოწოდებისას უელსელმა არბიტრმა გოუმ ერთობ სადავო პენალტი დანიშნა „დინამოს“ კარში, რომელიც ზუსტად გამოიყენა ნურგმა — 3:2.

ევროპის საკლუბო ტურნირების განმეორებითი მატჩები შედგება 2 ოქტომბერს.

## სხვა მატჩები

### ჩემპიონთა თასი

მერვედფინალი (მეთექვსმეტედფინალი), პირველი წრე

„ლევსკი-სპარტაკი“ (სოფია, ბულგარეთი) — „დოჟა უიპეშტი“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) 0:3
„ფეიენოორდი“ (როტერდამი, ჰოლანდია) — „კოლრეინი“ (ჩრდილოეთ ირლანდია) 7:0
„ჰვიდოვრე“ (დანია) — „რუხი“ (ხოჟუვი, პოლონეთი) 0.0
„სელტიკი“ (გლაზგო, შოტლანდია) — „ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი) 1:1
„სენტ-ეტიენი“ (საფრანგეთი) — „სპორტინგი“ (ლისაბონი, პორტუგალია) 2:0
„ლიდს იუნაიტედი“ (ინგლისი) — „ციურიხი“ (შვეიცარია) 4:1
„სლოვანი“ (ბრატისლავა, ჩეხოსლოვაკია) — „ანდერლეხტი“ (ბრიუსელი, ბელგია) 4:2
„ვალეტა“ (ლა-ვალეტა, მალტა) — ჰიკ-ი (ფინეთი) 1:0
„უნივერსიტატეა“ (ბუქარესტი, რუმინეთი) — „ატვიდაბერგი“ (შვეცია) 2:1
„ჟენესი“ (ლუქსემბურგი) — „ფენერბახჩე“ (სტამბული, თურქეთი) 2:3
„ლინცი“ (ავსტრია) — „ბარსელონა“ (ესპანეთი) 0:0.

### თასების მფლობელთა თასი

მეთექვსმეტედფინალი, პირველი წრე

„ფშვ ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია) — „არდსი“ (ჩრდილოეთ ირლანდია) 10:0
„გვარდია“ (ვარშავა, პოლონეთი) — „ბოლონია“ (იტალია) 2:1
„ლივერპული“ (ინგლისი) — „სტრიომგოდსეტი“ (ნორვეგია) 11:0
პაოკ-ი (სალონიკი, საბერძნეთი) — „ცრვენა ზვეზდა“ (ბელგრადი, იუგოსლავია) 1:0
„ბენფიკა“ (ლისაბონი, პორტუგალია) — „ვანლოსე“ (დანია) 4:0
„ფერენცვაროში“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — „კარდიფ-სიტი“ (უელსი) 2:0
„ვარეგემი“ (ბელგია) — „აუსტრია“ (ვენა, ავსტრია) 2:1
„აინტრახტი“ (მაინის ფრანკფურტი, გფრ) — „მონაკო“ (საფრანგეთი) 3:0
„ბურსასპორი“ (თურქეთი) — „ფინ ჰარპსი“ (ირლანდია) 4:2
„დანდი იუნაიტედი“ (შოტლანდია) — „ჟიული“ (რუმინეთი) 3:0
„მალმიო“ (შვეცია) — „სიონი“ (შვეიცარია) 1:0
„შლიემა უონდერერსი“ (მალტა) — „რეიპასი“ (ლაჰტი, ფინეთი) 2:0
„სლავია“ (პრაღა, ჩეხოსლოვაკია) — „კარლ ცაისი“ (იენა, გდრ) 1:0.

### უეფა-ს თასი

ოცდამეთორმეტედფინალი, პირველი წრე

„ნანტი“ (საფრანგეთი) — „ლეგია“ (ვარშავა, პოლონეთი) 2:2
„კიოლნი“ (გფრ) — „კოკოლა“ (ფინეთი) 5:1
„ფრეიია“ (დანია) — „დინამო“ (დრეზდენი, გდრ) 1:1
„რასინგ-ვიტი“ (ბელგია) — „დანდი“ (შოტლანდია) 1:0
„იფსვიჩ თაუნი“ (ინგლისი) — „ტვენტე“ (ენსხედე, ჰოლანდია) 2:2
„ვალუსი“ (ისლანდია) — „პორტდაუნი“ (ჩრდილოეთ ირლანდია) 0:0
„სტარტი“ (ნორვეგია) — „იურგორდენი“ (შვეცია) 1:2
„ჰამბურგი“ (გფრ) — „ბოჰემიანსი“ (ირლანდია) 3:0
„დერბი ქაუნთი“ (ინგლისი) — „სერვეტი“ (ჟენევა, შვეიცარია) 4:1
„რუსენბორგი“ (ნორვეგია) — „ჰიბერნიენი“ (ედინბურგი, შოტლანდია) 2:3
„სტოკ-სიტი“ (ინგლისი) — „აიაქსი“ (ამსტერდამი, ჰოლანდია) 1:1
„შტურმი“ (ავსტრია) — „ანტვერპენი“ (ბელგია) 2:1
„ლიონი“ (საფრანგეთი) — „რედ ბოიზი“ (ლუქსემბურგი) 7:0
„ვიტორია“ (სეტუბალი, პორტუგალია) — „რეალი“ (სარაგოსა, ესპანეთი) 1:1
„პორტუ“ (პორტუგალია) — „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“ (ინგლისი) 4:1
„ეტარი“ (ტარნოვო, ბულგარეთი) — „ინტერნაციონალე“ (მილანი, იტალია) 0:0
„ფკ ამსტერდამი“ (ჰოლანდია) — „ჰიბერნიანსი“ (მალტა) 5:0
„რეალი“ (სან-სებასტიანი, ესპანეთი) — „ბანიკი“ (ოსტრავა, ჩეხოსლოვაკია) 0:1
„ლოკომოტივი“ (პლოვდივი, ბულგარეთი) — „ვაშაში“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) 3:1
„ტორინო“ (იტალია) — „ფორტუნა“ (დიუსელდორფი, გფრ) 1:1
„გურნიკი“ (ზაბჟე, პოლონეთი) — „პარტიზანი“ (ბელგრადი, იუგოსლავია) 2:2
„ფორვერტსი“ (ბერლინი, გდრ) — „იუვენტუსი“ (ტურინი, იტალია) 2:1
„ბეშიქთაში“ (თურქეთი) — „სტიაგულ როშუ“ (რუმინეთი) 2:0
„რაპიდი“ (ვენა, ავსტრია) — „არისი“ (სალონიკი, საბერძნეთი) 3:1
„ნაპოლი“ (იტალია) — „ვიდეოტონი“ (უნგრეთი) 2:0
„გრასჰოპერსი“ (ციურიხი, შვეიცარია) — „პანათინაიკოსი“ (ათენი, საბერძნეთი) 2:0
„ბოლუსპორი“ (თურქეთი) — „დინამო“ (ბუქარესტი, რუმინეთი) 0:1
„სვაროვსკი-ვაკერი“ (ვენა, ავსტრია) — „ბორუსია“ (მენჰენგლადბახი, გფრ) 2:1.

# მობრძანდით კიროვის პარკში

თბილისის კიროვის პარკს თავის დროზე სპორტსმენთა სამჭედლოს ეძახდნენ. მართლაც, აქ, ამ პარკის სპორტულ მოედნებზე უთამაშიათ სახელგანთქმულ კალათბურთელებს, ჩოგბურთელებსა და ხელბურთელებს... სამწუხაროდ, ბოლო წლებში აქაური სარბიელი დაცარიელდა. აღარ ისმოდა არც გულშემატკივართა მხურვალე შეძახილები და არც დაძაბული სპორტული ბატალიები გამართულა. კიროვის პარკში მისული კაცი ბოლო ხანს უმთავრესად ენთუზიასტ ფეხბურთელებს თუ ნახავდა.

და აი, წლეულს, მაისში ენთუზიასტმა ფეხბურთელებმა გადაწყვიტეს ჩაეტარებინათ თბილისის უბნების პირველობა მინი-ფეხბურთში. ამ შეჯიბრებამ, რომელიც ჩინებულად იყო ორგანიზებული (ტურნირის თაოსანი და სულის ჩამდგმელი იყო მ. ასათიანი), უდიდესი ინტერესი გამოიწვია როგორც ფეხბურთის მოყვარულთა, ასევე სპეციალისტთა შორისაც. ეს იყო მიმზიდველი შეჯიბრება, სადაც ყველაფერი იყო, რითაც ლამაზი და საგულისხმოა ფეხბურთი.

დღეს „კიროველები“ ახალ ტურნირს იწყებენ. ამ შეჯიბრების მომზადებაში ენთუზიასტ ფეხბურთელებს მხარში ამოუდგა გაზეთ „ლელოს“ რედაქცია და შეჯიბრებაშიც „ლელოს“ პრიზი გათამაშდება — რედაქციამ დააწესა გარდამავალი თასი, რომელსაც ყოველწლიურად გაითამაშებენ „კიროველები“.

მაშ ასე, გიწვევთ კიროვის სახელობის პარკის სპორტულ მოედნებზე. თქვენ აქ ნახავთ როგორც „პროფესიონალ“ ფეხბურთელებს, ასევე იმათაც, ვისაც „ოფიციალური“ ურთიერთობა არ ჰქონია ამ მომხიბლავ და საყოველთაოდ საყვარელ სპორტთან. აქ ნახავთ ახალბედებსაც და მეცნიერ-მუშაკებსაც, ინჟინრებსაც და მუშებსაც, ჟურნალისტებსაც და ექიმებსაც...

შეჯიბრების დასაწყისი 9 ს.

# ტორონტოს „მოჯადოებულ“ ყინულზე...

დასასრული

შაიბა ბექსტრემს გადასცა. ცენტრფორვარდს არაფერი დარჩენოდა იმის მეტი, რომ შაიბა კარში გაეტანა. შალე ჰოუ-უფროსმა ტრავმის გამო ყინული დატოვა.

— ამაში არავინ იყო დამნაშავე, — გვითხრა მან მატჩის შემდეგ, — უბრალოდ, როგორც ჩანს, მოედანზე ძალიან სწრაფად ვსრიალებდი ჩემი ასაკისთვის...

მე-11 წუთზე მასპინძლებმა გამოიყენეს რიცხობრივი უპირატესობა. ტრამბლემ ტყორცნა ლურჯი ხაზიდან, ტრეტიაკმა მოიგერია, მაგრამ ჩვენმა მცველებმა ვერ შეძლეს შაიბის გაჩერება. მას მაკენზი დაეპატრონა, მოკლე გადაცემა ლიაკრუას და მანაც გოლი გაიტანა.

ჩვენს ნაკრებს ასეთი ტრადიცია აქვს: წინა თამაშის გარჩევისას მოთამაშეები, რომელთაც ბრალი მიუძღვით გატანილ გოლებში, მოგვითხრობენ, როგორ მოხდა ეს, რატომ დაუშვეს შეცდომა.

პირველი შეხვედრის შემდეგ „ანგარიშს გვაბარებდნენ“ გუსევი და ლიაპკინი. დაცვის თამაში მართლაც არ არის სათანადო სიმაღლეზე.

კანადელებთან მატჩები სერიოზული შემოწმებაა ჩვენი ფორვარდებისთვის. საბჭოთა და კანადის ჰოკეისტთა 1972 წლის 8 შეხვედრაში მალცევმა ვერც ერთი შაიბა ვერ გაიტანა. მოსკოვიდან მონრეალში მგზავრობისას იგი დაგვპირდა: „19-ში შაიბების ანგარიშს ვხსნი“. სამწუხაროდ მან ვერ შეასრულა დაპირება.

ბობი ჰალმა კი მართლაც რომ გადაწყვიტა უგოლოდ არ წავიდეს მოედნიდან. მეორე მატჩში მის ანგარიშზეა მესამე კანადური შაიბა (24-ე წუთი). უნდა ითქვას, რომ ჰალის შაიბებმა განაცვიფრა ეროვნული ჰოკეის ლიგის წარმომადგენლები, რომლებიც ესწრებიან ჰოკეის მეორე „სერიის“ მატჩებს. ჰალის შედეგიანი თამაში, ჰოუს ბრწყინვალე გადაცემები დიდი მიმზიდველი ძალაა მაყურებლებისთვის. და ისეც რომ მოხდეს, რომ მომავალ სეზონში მსოფლიო ჰოკეის ასოციაციაში ვარსკვლავების რიცხვი მეტი იქნება, ვიდრე ჰოკეის ეროვნულ ლიგაში. როგორც ცნობილი გახდა, კანადელებმა სულ ახლახან მოილაპარაკეს, რომ ჩაატარებენ ამ აქამდე შეურიგებელი კონკურენტების ამხანაგურ მატჩებს, რომლებშიც საუკეთესო გუნდები მიიღებენ მონაწილეობას.

...35-ე წუთზე კომბინაცია, რომელიც წამოიწყეს ლებედევმა და შადრინმა, იაკუშევის შორეული ტყორცნით დასრულდა. 57-ე წუთზე ტრამბლემ ამ მატჩის ბოლო შაიბა გაიტანა მაშინ, როცა მასპინძლებს რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ.

შაბათს ვინიპეგში მესამე მატჩია.

ვ. დვორცოვი,
ი. მირონოვი.
(საკდესის სპეც. კორ.).

## მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

# კარპოვი — კორჩნოი 1:0 (I ყაიმი)

მოსკოვი, 19 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ა. კარპოვ — ვ. კორჩნოის მატჩის II პარტიაში კარპოვმა ბრძოლა მეფის პაიკით დაიწყო, კორჩნოიმ თავისი საყვარელი სადებიუტო სისტემა — სიცილიური დაცვის დრაკონის ვარიანტი გაითამაშა. მეტოქეებმა სწრაფად გააკეთეს თეორიაში ცნობილი 18 სვლა. მაგრამ კარპოვის მე-19 სვლა, როგორც ჩანს, კორჩნოისთვის მოულოდნელი იყო და იგი 36 წუთით ჩაფიქრდა. ეტლის ეს მანევრი კარპოვს მატჩის მომზადებისას მწვრთნელებთან ერთად კაბინეტურ მყუდროებაში ჰქონდა მოძებნილი და გაანალიზებული.

შემდეგ კარპოვმა ორი პაიკის შეწირვით უდიდესი ძალის იერიში განავითარა. პარტიის ფინალი ლამაზი გამოდგა. კორჩნოი ზუსტ სვლებს აკეთებდა, მაგრამ შველა აღარ იყო — მისი მეფე განსაცდელს თავს ვერ დააღწევდა. ამიტომ 27-ე სვლაზე კორჩნოი წაგებას შეურიგდა.

აი, ეს პარტია:

**კარპოვი — კორჩნოი**

**სიცილიური დაცვა**

1. e4 c5 2. მf3 d6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 g6 6. კe3 კg7 7. f3 მc6 8. ლd2 0—0 9. კc4 კd7 10. h4 ეc8 11. კb3 მe5 12. 0—0—0 მc4 13. კ:c4 ე:c4 14. h5 მ:h5 15. g4 მf6 16. მde2 ლa5 17. კh6 კ:h6 18. ლ:h6 ეfc8 19. ეd3 ე4c5 20. g5 ე:g5 21. ეd5 ე:d5 22. მ:d5 ეe8 23. მef4 კc6 24. e5 კ:d5 25. ef ef 26. ლ:h7+ მფf8 27. ლh8+. კორჩნოი დანებდა.

**უცხოეთის ფეხბურთის ამბები**

### ბ. ჩარლტონის კიდევ ერთი გოლი

გაიმართა ინგლისის ლიგის თასის გათამაშების მესამე წრის შეხვედრები. პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ „პრესტონ ნორთ ენდის" გამარჯვება მეორე ლიგის ძლიერ გუნდთან „სანდერლენდთან". შეხვედრის ანგარიშია 2:0.

პირველი გოლი მოთამაშე მწვრთნელმა ბობი ჩარლტონმა გაიტანა. ახლა „პრესტონი" საკმაოდ სუსტ გუნდს „ჩესტერს" შეხვდება.

### ნეცერის ჩინებული ფორმა

როგორც მიმომხილველები იუწყებიან, შარშანდელი უფერული თამაშის შემდეგ ფორმაში შევიდა მადრიდის „რეალის" დასავლეთგერმანელი ნახევარმცველი ნეცერი. ესპანეთის ჩემპიონატში მონაწილეობასთან ერთად გუნდი არაერთ საერთაშორისო მატჩსაც მართავს, სადაც, როგორც წესი, ნეცერი ოსტატობით თამაშობს. მაგალითად, იგი საუკეთესო იყო მინდორზე ათენის „პანათინაიკოსთან" შეხვედრაში, რომელიც „რეალმა" მოიგო — 3:0.

# 4 ქულა 4-დან

კოლუმბიის ქალაქ მედელინში დაიწყო მოჭადრაკე ქალთა VI ოლიმპიადა. მსოფლიოს გუნდური პირველობის მონაწილენი ხუთ ნახევარფინალურ ჯგუფში განაწილდნენ. თითოეული ტურნირიდან I და II ადგილებზე გასული გუნდები ფინალში განაგრძობენ ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლას.

I ნახევარფინალი: კანადა, სსრ კავშირი, პუერტო-რიკო, ავსტრია, კოლუმბია;

II: იაპონია, აშშ, პანამა, ჰოლანდია, რუმინეთი;

III: უნგრეთი, მონაკო, ინგლისი, ბრაზილია, ისრაელი;

IV: ესპანეთი, ბულგარეთი, მექსიკა, იუგოსლავია, ფინეთი;

V: შვეცია, ჩეხოსლოვაკია, ერაყი, გფრ, ირლანდია.

თითოეულ გუნდში ორი ძირითადი და ერთი სათადარიგო მოთამაშეა.

სსრ კავშირის გუნდმა ნახევარფინალში წარმატებით აიღო სტარტი. I ტურში იგი მასპინძლებს შეხვდა. მსოფლიო ჩემპიონმა ნ. გაფრინდაშვილმა ი. დე კაროს მოუგო, ხოლო ნ. ალექსანდრიამ — რ. პატინოს.

II ტურში საბჭოთა ნაკრებმა კანადელებს მოუგო, ისევ ანგარიშით 2:0. გაფრინდაშვილმა დაამარცხა ს. ბუიოსევიჩი, ი. ლევიტინამ — გადადებული პარტიების დამთავრებისას — ქ. დემერსი. ამრიგად, საბჭოთა მოჭადრაკეებს 4 ქულა აქვთ 4-დან.

კოლუმბიის ნაკრებმა სძლია პუერტო-რიკოს გუნდს — 1,5:0,5 (პირველ დაფაზე ი. დე კარომ 13 სვლაში გაიმარჯვა).

# მიქაძის ორი გამარჯვება

სოხუმი, 20 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ გრძელდება სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. ქარსელაძის III მემორიალი. გადადებულ პარტიებში თამაშის განახლებისას მხოლოდ რამდენიმე შეხვედრა დამთავრდა.

ლაზიერების ენდშპილში მწვავე ბრძოლის შემდეგ ყაიმზე შეთანხმდნენ მ. მუხინი (ალმა-ათა) და ი. ჩიქოვანი (თბილისი). მეორე გადადებულ პარტიაში ჩიქოვანმა დაამარცხა ა. ტუზოვსკი (სოხუმი). ზ. მიქაძემ (თბილისი) პირველმა მოუგო ლიდერს ბ. კატალიმოვს (ალმა-ათა).

გ. ზაიჩიკს (თბილისი) სამი გადადებული პარტია ჰქონდა, მაგრამ IX ტურიდან მ. ცეიტლინთან (მოსკოვი) გამოტოვებული პარტია ითამაშა. ხუთსაათიანი ბრძოლის შემდეგ პარტია გადაიდო თბილისელი ჭაბუკის უპირატესობით.

X ტურში მხოლოდ სამი შეხვედრა დამთავრდა: მიქაძემ სძლია თანაქალაქელ ა. ბოკუჩავას, ჯ. ბერაძემ (წყალტუბო) — ა. ვოორემაას (ტალინი), ტუზოვსკიმ — დ. ჯანოევს (თბილისი).

10 ტურის შემდეგ კატალიმოვს 6 ქულა აქვს, მიქაძეს — 5,5 და 1 გადადებული პარტია.

ა. კაკიაშვილი,
მემორიალის მთავარი მსაჯი,
საერთაშორისო არბიტრი.



**უცხოეთის სპორტი**

### ნაცნობი გზა: სპორტსმენი — მწვრთნელი



ცნობილია ის, რომ სპორტსმენთა უზარმაზარი ნაწილი აქტიურ სპორტთან გამოთხოვების შემდეგ სამწვრთნელო ასპარეზზე განაგრძობს საქმიანობას, ზედმეტია. ამის დასამტკიცებელი მაგალითების ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა. ორ მათგანს სურათებზე ხედავთ.

ზედა ფოტოზე ცნობილი გერმანელი მძლეოსანი, გდრ-ის დემოკრატიული რესპუბლიკის რვაგზის ჩემპიონი და ევროპის ექს-ჩემპიონი მანფრედ კროისგერია აღბეჭდილი. იგი აზიისა და აფრიკის სხვადასხვა ქვეყნიდან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩასულ მძლეოსნებს ამეცადინებს.

ქვედა სურათზე თქვენ ხედავთ კრივში ევროპის მრავალგზის ჩემპიონს, პოლონელ ზბიგნევ პეტშიკოვსკის მწვრთნელის როლში.

ალგემაინერ დოიჩერ ნაჰრიჰტენდინსტისა და ე. ვარმინსკის ფოტოები.

**უცნაური ამბები**

## ჰკვნიდან პირდაპირ აუზში

იგი ჯერ 2 წლის არცაა, მაგრამ უკვე საკმაო პოპულარობით სარგებლობს დასავლეთ გერმანიის სპორტულ წრეებსა და მეცნიერთა შორის. მიუნჰენელმა გოგონამ ნიკოლა შტადელმანმა, რომელმაც ეს-ეს არის ისწავლა სიარული, ქალაქის აუზში უამრავი მაყურებლის თვალწინ 15 წუთს იცურავა, მერე წყლიდან ამოვიდა და მეტრიანი ტრამპლინიდან ისკუპა.

ამ ამბავში ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ პატარა ნიკოლას თავის ცხოვრებაში ჩატარებული აქვს მხოლოდ 45-წუთიანი ვარჯიში.

მეცნიერების აზრით, ჩვილი ბავშვის ორგანიზმი გაცილებით უკეთ ეგუება წყალში ჰყუმპალაობას, ვიდრე ხმელეთზე სიარულს. ამ საკითხის შესწავლას სერიოზულად მოკიდეს ხელი დასავლეთგერმანელმა მეცნიერებმა.

## დისკვალიფიკაცია ... 99 წლით

იყო დრო, როცა ურუგვაი სპორტის ყველა სახეობის მსაჯებთან კამათის კლასიკურ ქვეყნად მიაჩნდათ. სიტყვა „კამათი" ამ შემთხვევაში პირობითი ცნებაა, რომელიც გულისხმობს ლანძღვასაც, გინებასაც, მუშტსაც, ფიზიკური ზემოქმედების სხვა ფორმებსაც და ასე გასინჯეთ, შეიარაღებულ თავდასხმასაც კი.

ერთი სიტყვით, მსაჯი ურუგვაის სპორტულ ცხოვრებაში იყო ყოვლად უსუსური ფიგურა, რომელიც თავის ბედსა და უსაფრთხოებას თავადვე განაგებდა.

ახლა მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა — გაჭირული მსაჯების დასაცავად აღდგა კანონი.

ამას წინათ ურუგვაის რეგბისტთა კავშირმა მკაცრად დასაჯა ერთ-ერთი პოპულარული კლუბის „ოლდ ბოისის" მოთამაშე რობერტო დეალუ, რომელიც მსაჯებისადმი განსაკუთრებით უხეში დამოკიდებულებით გამოირჩეოდა. უფრო სწორად, სანქცია ამ რეგბისტის მიმართ თვით კლუბის ადმინისტრაციამ მიიღო, კავშირმა კი უბრალოდ დაამტკიცა გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც რ. დეალუს აეკრძალა უმაღლესი ლიგის მატჩებში თამაში... 99 წლის მანძილზე.

„ეს იქნება კარგი გაკვეთილი იმათთვის, ვინც მსაჯის მიმართ მუდამ აგრესიულადაა განწყობილი", — ნათქვამია განცხადებაში.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

**ლელოს რედაქციის ტელეფონები**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, შემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.